

საგადასახადო დავის წარმოება საქართველოში გვენტაძე შორენა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საგადასახადო დავების სამართლიანი და ეფექტიანი გადაწყვეტა ქვეყნის ბიზნეს მიმზიდველობის ერთ-ერთი აუცილებელი კრიტერიუმია. საგადასახადო დავების განხილვა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვას.

საქართველოში საგადასახადო ორგანოს მიერ დაკისრებული საგადასახადო ვალდებულების გასაჩივრების მსურველი მეწარმეების რიცხვი მაღალია, რაც ზრდის მოლოდინებს საგადასახადო დავების წარმოების, აღსრულების მექანიზმების მიმართ.

საგადასახადო რისკების სწორი და ეფექტური მართვა გულისხმობს გაურკვევლობის სფეროების კონტროლს, რათა ბიზნესის მიერ დასახული მიზნების მიღწევა იყოს უფრო გამჭვირვალე და თავიდან იქნას აცილებული დავების წარმოშობა იმ სახელმწიფოების კომპეტენტურ საგადასახადო ორგანოებთან, სადაც კონკრეტული გადასახადის გადამხდელი საქმიანობს.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რიგ შემთხვევაში, ემსახურება კანონმდებლობის ბუნდოვანი, ორაზროვანი ინტერპრეტაციის მქონე დებულებების აღმოფხვრას, ხოლო რიგ შემთხვევაში, მიმართულია ახალი დაბეგვრის მექანიზმის შემუშავებისკენ. ეს უკანასკნელი, გადასახადის გადამხდელების მიერ სათანადო ცოდნას, ცვლილების მიმართ გარკვეული მზაობის არსებობას, დროულ ადაპტირებას მოითხოვს, რაც ყოველთვის ვერ ხორციელდება წარმატებულად და პირდაპირ თუ ირიბად, რიგ შემთხვევაში, წარმოქმნის საგადასახადო დავას.

დავის განმხილველი ორგანო ვალდებულია იხელმძღვანელოს სამართლიანობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით. სისტემაში საგადასახადო დავის შედეგად დაუშვებელია მომჩივნის საგადასახადო ვალდებულებების დამძიმება, გარდა გადამხდელის თანხმობით ამავე დავის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების შემთხვევისა.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო დავა; დავის განმხილველი ორგანოები; დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის უზრუნველყოფა; მცირე და საშუალო ბიზნესი; საგადასახადო რისკი; მეთოდოლოგიური საინფორმაციო ჰაბი.

ძირითადი ტექსტი

ქვეყანაში საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი არის სისტემური და ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის არსებობა. საგადასახადო კოდექსი, მისი დაქვემდებარებული ნორმატიული აქტები და საგადასახადო ურთიერთობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები ადგენს მხოლოდ დაბეგვრის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად, საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, სასამართლოს და ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული დავების განმხილველი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა არეგულირებს საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს და საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმის განხილვისას, საგადასახადო დავის ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს. სასამართლოში დავის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით.

დავის განმხილველი ორგანოები არიან სსიპ შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო.

საჩივრის წარმოებაში მისაღებად არსებობს რიგი პროცედურული/ტექნიკური ეტაპები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: საჩივრის რეგისტრაციის შემდგომ, ხდება საჩივრის დასაშვებობის შემოწმება, მხარეთა არგუმენტაციის შესწავლა/ანალიზი, მხარეებისგან დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა, დავების განხილვის საბჭოსთვის საჩივარზე ინფორმაციის მომზადება და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაფორმება.


საგადასახადო დავის პერიოდში, საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის მიზნებისთვის, სადავო საგადასახადო დავალიანება არის პირის მიმართ დარიცხული გადასახადის ან/და სანქციის თანხა, რომელიც აღიარებული არ არის და არ არის გასაჩივრებული საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითლება საგადასახადო დავის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე. დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 21-ე დღეს, მისი მომდევნო ინსტანციაში გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში. ძალაში შესული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა. დავის განმხილველი ორგანოს შუალედური ან საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა ან აღსრულების არამართლობიერი შეფერხება ითვლება დისციპლინურ გადაცდომად და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმარტების მიზნით, როგორც მომჩივანი, ასევე საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს განმარტება. გადაწყვეტილების განმარტებისას, დავის განმხილველი ორგანო ხელმძღვანელობს იმავე ვადებით, რომელიც დადგენილი საჩივრის განხილვისთვის. განმარტება გადაწყვეტილების განუყოფელია ნაწილია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განახლება დასაშვებია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 6 წლის ვადაში.


დავების განხილვის საბჭოს აპარატის 2023 წლის ანგარიშში გვაცნობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2023 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემებს. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი საჩივრებისა და ამავე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

დინამიკა წლების მიხედვით



ნახაზი N1. საბჭოში წარმოდგენილი საჩივრები
წყარო: დავების განხილვის საბჭოს სტატისტიკური ანგარიში

დინამიკა წლების მიხედვით



ნახაზი N2. მიღებული გადაწყვეტილებები
წყარო: დავების განხილვის საბჭოს სტატისტიკური ანგარიში

საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს მნიშვნელოვნად ჰუმანური მუხლი, რომელიც ე.წ. „good faith“-ის პრინციპის გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნული ნორმა, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შედეგია. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს. აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს, სწორედ, გადასახადის გადამხდელის მხრიდან, გადასახადით დაბეგვრის ამა თუ იმ საკითხის შეცდომით გაგების, არ ცოდნის შესაძლებლობას. სწორედ ამ მიზნით, კანონმდებლობა, უფლებამოსილებას ანიჭებს საგადასახადო ორგანოს, ასევე დავის განმხილველ ორგანოს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი შესაბამისი ქმედებისთვის, სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციისგან, პასუხისმგებლობის ზომისგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით.

შესაძლოა გადასახადის გადამხდელია მოქმედებდეს კეთილსინდისიერების ფარგლებში, არ ქონდეს მიზნად დასახული გადასახადის გადახდისგან თავის არიდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩაიდინოს სამართალდარღვევა და დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა. სწორედ, ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციისგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით. აღსანიშნავია ისიც, კონკრეტული კრიტერიუმები, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მეწარმე კეთილსინდისიერ გადამხდელად, კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

სტაბილურად მზარდი საგადასახადო დავების დინამიკის გათვალისწინებით, საგადასახადო დავების წარმოქმნის პრევენციის მხრივ, მნიშვნელოვანია არსებობდეს სათანადო ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, საგადასახადო ორგანოების მიერ დამკვიდრებული გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

2023 წლიდან შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო ონლაინ პლატფორმამ www.infohub.rs.ge, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის საინფორმაციო ჰაბს და განკუთვნილია სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრირებად მიმართულებებზე ცნობიერების ასამაღლებლად. აღნიშნულ პლატფორმაზე, მუდმივი განახლების რეჟიმში, განთავსებულია და ხელმისაწვდომია საგადასახადო და საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ გამოცემული გადაწყვეტილებები.

დასკვნა

საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში. აღნიშნული, გადასახადის გადამხდელისთვის კანონით მნიშვნელოვან მინიჭებულ უფლებას წარმოადგენს.

საგადასახადო დავის წარმოქმნის პრევენციისთვის, მნიშვნელოვანია ბიზნესს საგადასახადო ვალდებულებების შესრულება უწყვედეს ღია, გამჭვირვალე, ნაკლებად ინტერპრეტაციის შემცველი საგადასახადო ნორმების გამოყენები და უზრუნველყოფილ იქნეს

გადამხდელისთვის გადასახადებით დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკა.

ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და შესაბამის პლატფორმაზე საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების განთავსება, დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის შექმნის მიზნით, მისასაღმებელია ყველა ზომის და კატეგორიის გადამხდელისათვის.

საგადასახადო დავის წამოწყება გადასახადის გადამხდელს აძლევს შესაძლებლობას შეჩერდეს მის მიმართ დავალიანების გადახდის ვალდებულება. დავის განხილვა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვას. დავის განხილველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Dr. Nur Hidayat, SE, ME, Ak, - Corporate Tax Risk Management. Elex Media Komputindo, 2015
2. Michael Heimig - Tax Risk Management im Konzern. Springer Fachmedien Wiesbaden, Mar 6, 2019 - Business & Economics - 367 pages
3. საგადასახადო დავების ანალიზი; USAID GEORGIA აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის“ (2016)
4. „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო <https://bit.ly/3NRk8Ut>
5. თ.კოპალეიშვილი, მ.ჩიკვილაძე. „გადასახადები და დაბეგვრა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2011
6. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილული დავების სტატისტიკა - <https://taxdisputes.gov.ge/4045>

Tax dispute proceedings in Georgia

Gvenetadze Shorena

Ph.D student , Georgian Technical University

Summary

Fair and effective resolution of tax disputes is one of the key criteria for the business attractiveness of a country. The review of tax disputes is an important tool that ensures the protection of taxpayer's rights.

The number of entrepreneurs wishing to appeal tax obligations imposed by the tax authority in Georgia is high, which increases expectations for the mechanisms for conducting and enforcing tax disputes.

Proper and effective management of tax risks involves controlling areas of uncertainty so that the achievement of the goals set by the business be more transparent and disputes with the competent tax authorities of the states where a particular taxpayer operates be avoided.

The amendments made to the tax legislation, in some cases, serve to eliminate unclear, ambiguously interpreted provisions of the legislation, and in some cases, are aimed at developing a new taxation mechanism. It requires proper knowledge, a certain readiness for change, and timely adaptation by taxpayers, which cannot always be implemented successfully and, directly or indirectly, in some cases, gives us an increased number of disputes.

The dispute body is obliged to be guided by the principles of fairness, objectivity, equality of parties, and impartiality. In the system, it is not permissible to burden the tax obligations of the complainant as a result of a tax dispute, except in the case of an inspection conducted within the framework of the same dispute with the consent of the taxpayer.

Keywords: Tax dispute; Dispute resolution bodies; Ensuring uniform taxation practices; Small and medium-sized businesses; Tax risk; Methodological information hub.